# ხელშეკრულება N2018-060

ქ. თბილისი 4 აპრილი 2018 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის პირველი მოადგილის თამარ გვარამაძის სახით და მეორე მხრივ, სს ,,ჰიუნდაი ავტო საქართველო" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი სერვისის დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, სახელმწიფო ,,შესყიდვების შესახებ კანონის" მე- 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის საფუძველზე ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი, მიწოდების ვადა და ღირებულება.**

1.1 მიმწოდებელი გაუწევს ავტოტექნიკურ მომსახურებას (შემსრულებლის სათადარიგო ნაწილებით) შემსყიდველის კუთვნილებაში არსებულ ავტოტრანსპორტს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.
1.2 ავტოტექნიკური მომსახურება ხორციელდება შემსრულებლის სერვის ცენტრში ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 954.00 (ცხრაას ორმოცდათოთხმეტი) ლარს (CPV 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).
1.4 სათადარიგო ნაწილების ად მომსახურების ღირებულება :

ა/მ მარკა: Hyunday Elantra
სერია-ნომ: LG209GL
გარბენი: 70,000

| N | სათადარიგო ნაწილების დასახელება | რაოდ | ღირებულება | სამუშაოს დასახელება | რაოდ | ღირებულება | თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წინა ამორტიზატორი STRUT ASSY-FR,LH | 1 | 260.00 | | | | 260.00 |
| 2 | წინა ამორტიზატორი STRUT ASSY-FR,RH | 1 | 260.00 | | | | 260.00 |
| 3 | რაზვალნი ვტულკა BUSHFR LWR ARM | 2 | 55.00 | | | | 110.00 |
| 4 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | 2 | 12.00 | | | | 24.00 |
| 5 | | | | საბურავების მ/დ დ/-ა, ბალანსირება | 1 | 60.00 | 60.00 |
| 6 | | | | ამორტიზატორების შეცვლა | 2 | 40.00 | 80.00 |
| 7 | | | | რაზვალნი ტულკების შეცვლა | 2 | 40.00 | 80.00 |
| 8 | | | | მშრალი რეზინების შეცვლა | 2 | 20.00 | 40.00 |
| 9 | | | | განშლა | 1 | 40.00 | 40.00 |
| | | | | | | **ჯამი:** | **954.00** |

**მუხლი 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები.**

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად შეუკეთოს ავტომანქანა შემსყიდველს.
2.2 მიმწოდებელი ვალდებულია გააფრთხილოს შემსყიდველი როდესაც მისთვის ხელმისაწვდომი გამოსაცვლელი დეტალი უხარისხო და გამოუსადეგარია ან არსებობს მისგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას. თუ ასეთ შემთხვევაში შემსყიდველმა მაინც მოითხოვა ავტოტექნიკური მომსახურების შესრულება, მიმწოდებელი პასუხს არ აგებს ნამუშევრის ვარგისიანობასა და ხარისხზე.

2.3 შემსყიდველს უფლება აქვს მოთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება.
2.4 მხარეები ვალდებულნი არიან ავტოტექნიკური მომსახურების დასრულებისთანავე მოახდინონ ავტომანქანის ტესტირება.
2.5 ავტომანქანის ტესტირების შემდეგ თუ შემსყიდველს არ გააჩნია პრეტენზია სამუშაოს შესრულების ხარისხზე, იგო ვალდებულია „სარემონტო შეკვეთის" სპეციალურ ფაქტურაზე ხელმოწერით ჩაიბაროს შესრულებული სამუშაო და აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
2.6 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობებისაგან ფორს-მაჟორულ გარემოებათა დადგომის შემთხვევაში, რაზეც მხარეებმა ერთმანეთს უნდა შეატყობინონ წერილობით ასეთ გარემოებათა დადგომიდან 3 დღის განმავლობაში.

**მუხლი 3. ანგარიშსწორების პირობები.**

3.1 ავტოტექნიკური მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შეკვეთისთვის და გამოცვლილი დეტალების ღირებულებასთან მიმდინარე "ინვოისის" სპეციალური ფაქტურის სახით წარედგინება შემსყიდველს.
3.2 შემსყიდველი მომსახურების ღირებულებას მიმწოდებელს გადაუხდის ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
3.3 მხარეთა შეთანხმებით ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;
3.4 ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

**მუხლი 4. მოქმედების ვადები.**

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
4.2 მხარეთა მიერ ხელშეკრულების მოშლის საფუძვლები რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 5. დავების გადაწყვეტა**

5.1 ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება მხარეთა შორის, გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევებში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი ნიკოლოზ ბალიაშვილი – ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის სპეციალისტი (მძღოლი).
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, ასევე მიიღოს საჭიროების მიხედვით მატერიალური ფასეულობები და მომსახურება თანდართულ საბუთებთან ერთად, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას, რაც არის დაკავშირებული აღნიშნული ფასეულობების თუ მომსახურებების მისაღებად.
6.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 7 - დასკვნითი დებულებები**

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლიარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს;
7.2 ყოველი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ნამდვილია, მისი წერილობითი გაფორმებისა და მხარეთა ხელმოწერის შემთხვევაში;
7.3 ყველა შეტყობინება ამ ხელშეკრულებით ითვლება გაგზავნილად, თუ ის გაიგზავნა წერილობით ხელშეკრულებაში მითითებული მხარის მისამართზე, ან ჩაბარდა მხარეს ხელზე;

7.4 ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობა რეგულირდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით და ყველა სახის ზეპირი მოლაპარაკება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა;

7.5 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

| | |
|---|---|
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი<br><br>საიდ. კოდი: 203860679<br>მის: ქ. თბილისი, ნ.რამიშვილის ქ. N6<br>ტელ: (+995 32) 2913814/15<br>ფაქსი: (+995 32) 2913841<br>ელ. ფოსტა: mkvitsiani@ombudsman.ge<br>სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი: 220101222<br>ა/ა: 200122900<br><br>სახალხო დამცველის პირველი მოადგილე<br>თამარ გვარამაძე | ს.ს. "ჰიუნდაი ავტო საქართველო"<br><br>საიდ. კოდი: 204478948<br>მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის<br>ხეივანი მე-12 კმ.<br>ტელ: (+995 32) 251 77 99<br>ფაქსი: (+995 32) 251 66 99<br>ს/ს „თიბისი ბანკი"<br>ბანკის კოდი: TBCBGE22<br>ა/ა: GE15TB 1100 0001 1046 7697<br><br>სერვისის დირექტორი<br>ალექსანდრე ხვედელიძე |

ინფორმაცია N2018-060

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

**ქ. თბილისი** **4 აპრილი 2018 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, თამარ გვარამაძე (საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე - ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი), მარიამ კვიციანი (ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი), მაია ლიპარტელიანი (სახალხო დამცველის აპარატის მთავარი მრჩეველი იურიდიულ საკითხებში - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი) და ნიკოლოზ ბალიაშვილი (ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის სპეციალისტი (მძღოლი) - ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებაზე პასუხიმგებელი პირი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2018 წლის 4 აპრილს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულება N2018-060-ის ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მე–8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თამარ გვარამაძე _____

მარიამ კვიციანი _____

მაია ლიპარტელიანი _____

ნიკოლოზ ბალიაშვილი _____